ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მამისა დიაკონოვი**

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება
- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2021 წლის 03.12 -დან 2022 წლის 01.11 მდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   03.12.2021 წ.-დან 01.11.2022წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 13

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021 – 2022 წელს:

   - საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -10, ესწრებოდა - 9 სხდომას;

   - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -11, ესწრებოდა - 8 სხდომას.

   მ/შ დროებითი კომისიები:

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები - 0.

5. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 დადგენილება. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 განკარგულება.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის'' (ს/კ 424254210) წესდების დამტკიცების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე - ქ. ახალციხეში, ბაღინაშვილის II ჩიხის გზის რეაბილიტაცია.

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 4

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - თითოეულ შეხვედრაზე 10-15; 6 - მოქალაქე.

ბაღინაშვილის ქუჩის მოსახლეობასთან შეხვედრა - თითოეულ შეხვედრაზე 15-20 მოქალაქე;
მესხეთის ქუჩის მოსახლეობასთან შეხვედრა - თითოეულ შეხვედრაზე 6 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- გზის სავალი ნაწილის მოპირკეთება;
- საკანალიზაციო სისტემის პრობლემების მოგვარება;
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;
- სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

შევხვდი მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მუნიციპალიტეტის მერს, გავაჟღერე პრობლემური საკითხები და აღნიშნულთან დაკავშირებით პროექტის განხორციელებისათვის მიიღეს საჭირო ზომები.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გავეცანი, ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩა № 124-ში, სპორტული კომპლექსის, ახალგაზრდული ცენტრისა და სკვერის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, ხელოვნური ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის, სპორტული და საბავშვო გასართობი მოედნების, საფეხმავლო ბილიკების, ტბასთან მისასვლელი გზის პროექტის განხორციელებას, ასევე სპორტული კომპლექსის მშენებლობას.
- მივიღე მონაწილეობა ,,დემოკრატ ქალთა საზოგადოების'' მიერ ორგანიზებულ უფასო სკრინინგთან დაკავშირებულ საინფორმაციო შეხვედრაში.

შევსების თარიღი 28/X-2022

წარდგენის თარიღი 28/X-2022

ხელის მოწერა ---